



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 24 დეკემბერი

**დისციპლინური საქმე №71/19
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

--- და --- 2019 წლის 16 აპრილის №71 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 14 მაისის №226/71-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 4 ივნისს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

2018 წლის 4 ივლისის განაჩენით ბრალდებულ --- მიმართ სასჯელი არასწორად იქნა განსაზღვრული, კერძოდ არსებობდა დანაშაულის რეციდივი და --- მიმართ დანიშნული სასჯელის ვადა უნდა ყოფილიყო ამ დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადაზე სულ მცირე 1 წლით მეტი. მოსამართლე --- შეცდომის გამო უკვე საპატიმროდატოვებულ --- არ მოუწია პენიტენციურ დაწესებულებაში უკან დაბრუნება, ვინაიდან სააპელაციო პალატამ მსჯავრდებულის საზიანოდ ვერ შეცვალა განაჩენი სასჯელის ნაწილში, რადგან აღნიშნულზე სააპელაციო საჩივრით პროკურორი არ დავობდა. საჩივრის ავტორთა აზრით, ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ მოსამართლემ უგულვებელყო კანონის მოთხოვნა, რაც ადასტურებს მის არაკომპეტენტურობას, არაკვალიფიციურობას და კანონის არასათანადოდ ცოდნას.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

--- სასამართლოს 2018 წლის 4 ივლისის განაჩენით:

1. --- (პ/ნ ---) საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდეს. --- ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა რვა თვის ვადით. --- მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა

გაუქმდეს, სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან 2017 წლის 13 ნოემბრიდან.

2. -- -- (პ/ნ --) საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით და მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს. -- -- ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლს პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა ათი თვის ვადით. -- -- (პ/ნ --) მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმდეს, სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან 2017 წლის 13 ნოემბრიდან.

3. -- -- (პ/ნ --) საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს. -- -- ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლს პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით. -- -- (პ/ნ --) მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმდეს, სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან 2017 წლის 13 ნოემბრიდან.

4. სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებები - ვედრო და ხის სკამი დაუბრუნდეს -- --, ხოლო ჭურჭლის ნამსხვრევები განადგურდეს კანონით დადგენილი წესით.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 ივნისის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება“ (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას. სსკ-ს 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

სსკ-ს 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულის ნასამართლობა გაქარწყლდება სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ.

საქმის მასალების შესწავლიდან ირკვევა, რომ -- -- -- -- სასამართლოს 2017 წლის 17 ივნისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 1,000 ლარის ოდენობით. მასვე 3 წლის ვადით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენის დროს 2017 წლის 9 ნოემბერს, -- -- ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ჰქონდა და ითვლებოდა ნასამართლევადაც. იმ პირობებში, როდესაც ბოლო დანაშაულის ჩადენისას -- -- ნასამართლევი იყო განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის და მას ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილი არ ჰქონია, მისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს სასჯელი უნდა განესაზღვრა რეციდივის გათვალისწინებით.

მხოლოდ იმიტომ, რომ 2018 წლის 4 ივლისის -- -- სასამართლოს განაჩენი ბრალდების მხარეს გასაჩივრებული ჰქონდა მხოლოდ კვალიფიკაციის ნაწილში და არ ითხოვდა სასჯელის დამძიმებას, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მოკლებული იყო სამართლებრივ შესაძლებლობას, მსჯავრდებულისთვის დაემძიმებინა სასჯელი, ვინაიდან საქართველოს სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში.

დადასტურებულ საპროცესო წესის დარღვევის ფაქტთან მიმართებით, დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისთვის, რელევანტურია გამოირკვეს და შეფასდეს სხვა გარემოებებიც. კერძოდ, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს და აღინიშნოს, რომ მხოლოდ საპროცესო წესის დარღვევის ფაქტი არ იძლევა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაციის შესაძლებლობას და მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ჩადენის შეფასების პროცესში, სავალდებულო წესით კუმულაციურად მხედველობაში მიიღება: მოსამართლის ბრალეულობა და მისი ხარისხი, შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, შეცდომის ხარისხი, მოსამართლის მოტივი, ქმედებათა განმეორებითობა და ინტენსივობა და ა.შ.

მოსამართლის მიერ დაშვებულ სამართლებრივ შეცდომას არ მიუყენებია მხარისათვის არსებითი ხასიათის ზიანი, არ გამოუწვევია ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა. საქმეზე არ იკვეთება ისეთი საფუძვლები, რაც დაადასტურებდა კანონის ინტერპრეტირების ან/და საკითხის შეფასებისას მოსამართლის უხეშ გაუფრთხილებლობას / ბოროტ განზრახვას. არსებულ მოცემულობაში კი, შეცდომის ხარისხის, მოსამართლის მოტივის, ქმედებისადმი მისი განზრახვი და ასევე, უხეში გაუფრთხილებლობის გამომრიცხავი დამოკიდებულების გამო, საპროცესო წესის დარღვევის ფაქტი უნდა შეფასდეს სამართლებრივ შეცდომად, რაც ქმედების დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაციას გამორიცხავს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 ივნისის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- და -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- და -- -- 2019 წლის 16 აპრილის №71 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი